



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030139402791020

№ 01-535/თ

04 / ნოემბერი / 2020 წ.

„საქართველოში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციის (COVID-19) შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის, სამედიცინო დაწესებულებების მობილიზების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 19 სექტემბრის № 01-467/თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „საქართველოში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციის (COVID-19) შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის, სამედიცინო დაწესებულებების მობილიზების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 19 სექტემბრის № 01-467/თ ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების:

ა) 2¹ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2¹. საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისათვის საჭირო ღონისძიებების კონტროლის, რეაგირებისა და მზადყოფნის უზრუნველყოფის მიზნით, დროებითი ღონისძიების სახით, N1 დანართით განსაზღვრული სამედიცინო დაწესებულებები გათავისუფლდნენ ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის სანებართვო დანართის ფლობის ვალდებულებისგან და სტაციონარული დაწესებულების საერთო სანებართვო პირობების (მოზრდილთა და ბავშვთა კონტიგენტის მომსახურებისას - მოზრდილთა და ბავშვთა პალატები/ განყოფილება უნდა იყოს ერთმანეთისგან გამიჯნული) შესრულების ვალდებულებისგან, N1 დანართში მითითებული პერიოდების შესაბამისად.“;

ბ) N1 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელმეფორნულად

ეკატერინე ტიკარაძე